საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/3

ქ.თბილისი

"17" იანვარი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში "კომისია") ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდგომი მოწესრიგების მიზნით, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და კომისიის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს კომისიის ბალანსზე რიცხულ მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა შემდეგი შემადგენლობა:

ა) იოსებ ხარებავა-კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი;

ბ) რატი სხირტლაძე-კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

გ) ივანე მახარაძე-კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

დ) სერგო შავგულიძე-კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსი;

ე) პავლე ბერია-კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მ.შ.;

ვ) დავით გოგიჩაიშვილი-კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

ზ) მაია ქადეიშვილი-კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი;

თ) ალექსანდრე ღლონტი-კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;

ი) ირინე ვერძეული-კომისიის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი;

კ) ნათია დევდარიანი-კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ლ) თამთა ტეფნაძე-მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის უფროსი.

2. კომისიის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ჩატარდეს 2017 წლის 20 თებერვლიდან 2017 წლის 20 მარტამდე.

3. დაინიშნოს საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვახტანგ აბაშიძე-კომისიის თავმჯდომარე (თავმჯდომარე);

ბ) რევაზ მორგოშია-კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი;

გ) ნიკოლოზ წერეთელი-კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის ლოჯისტიკის სპეციალისტი;

დ) ნოდარ ასპანიძე -კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

ე) ალექსანდრე ღლონტი-კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;

ვ) ნატალია ჯანელიძე-კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

ზ) მაია ნინუა-კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის საკანცელარიო საქმისწარმოების წამყვანი სპეციალისტი (მდივანი).

4. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ნ. დევდარიანი) განახორციელოს ფაქტიური ინვენტარიზაციის შედეგების შედარება საბუღალტრო მონაცემებთან 2017 წლის 3 აპრილამდე.

5. კომისიის მიერ ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგების გაფორმება მოხდეს 2017 წლის 20 აპრილამდე.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 01 აპრილის N6/6 ბრძანება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში.

8. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე